სტატია 1
ხელოვნების ქრისტიანული არსება და
ექსპრესიონიზმი

თამარ აფრიდონიძე

ხელოვნების ამოსავალი პუნქტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ არის ადამიანის ღმერთთან მისწრაფების და მასთან გაერთიანების გრძნობად -კონკრეტული განხორციელება. ხელოვნების ამგვარი მისწრაფების ყველაზე ნათელი გამოხატვა ხდება ქრისტიანულ ხელოვნებაში. სახელდობრ, ქრისტეს გამოსყიდვის ისტორიაში, ღვთაებრივ სიყვარულში, როგორც ღმერთსა და ადამიანს შორის შემრიგებლურ გრძნობაში, ღმერთის სულში, რომელიც ისადგურებს ადმიანის სულში მისი განწმენდის შედეგად.

ადამიანის და ღმერთის შერიგების მარტივი შინაარსი არის მათი ერთმანეთთან გაერთიანება. ადამიანური სული თავისი ცნების მიხედვით არის ჭეშმარიტი სული. ყოველი ცალკეული ადამიანის მიზანი არის ის, რომ მასში იყოს ღმერთი და ამასთანავე იგი იმყოფებოდეს მასთან ერთიანობაში. თუკი მან შეასრულა ეს დანიშნულება, მაშინ იგი გახდება თავისუფალი და ჭეშმარიტი სული. ადამიანს შეუძლია შეასრულოს ეს, ვინაიდან მისი ერთიანობა ღმერთთან წარმოადგენს რაღაც თავდაპირველს, ადამიანის და ღვთაებრივის მუდმივ საფუძველს, ადამიანის ღმერთთან გაერთიანების ეს მიზანი შეადგენს ხელოვნების რელიგიური ცნობიერების წინამძღვარს, რაც მდგმარეობს იმაში, რომ აქ თვითონ ღმერთი გახდა ადამიანისეული, ერთეული სუბიექტი. ღმერთის და ადამიანის ეს შერიგება წარდგება ხელოვნებაში გრძნობადი ჭვრეტის სახით, ნამდვილად არსებული ადამიანის სახით. ხელოვნება გვიჩვენებს ქრისტეს დაბადებას, ცხოვრებას, სიკვდილს, აღდგომას, ამაღლებას აწმყოში. ქრისტიანული ხელოვნების ამოსავალ პუნქტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქრისტე როგორც ადამიანი, თვით უარყოფის, ერთეულის მსხვერპლმოტანით აღწევს ჭეშმარიტებას. მისი სიკვდილი არის შუალედური მომენტი, რომლის შედეგადაც ხორციელდება სულის სულთან შერიგება, ღვთაებრივის და ადამიანურის, საყოველთაოს და სუბიექტურის ერთმანეთთან გაერთიანება. როგორ ხდება ეს შერიგება? ადამიანის ღმერთთან გამაერთიანებელი განცდა არის სიყვარული, როგორც ადამიანის ღმერთთან მისვლის სწრაფვა და მასთან გაერთიანება. სიყვარულის ნამდვილი არსი მდგომარეობს იმაში, რომ შენ უარი თქვა შენს საკუთარ თავზე, შენს შეზღუდულ ანგარებიან ბუნებაზე, დაივიწყო შენი თავი სხვაში. ეს სხვა არის ღმერთი. მაგრამ ეს შენი თავის დავიწყება არის შენი ჭეშმარიტი მეობის მოპოვება, მისით ფლობა. ეს არის სული, რომელიც სხვა სულში არის ცოდნა თავის თავის შესახებ, თავისი ნების როგორც ღმერთის გაცნობიერება და მისით კმაყოფილება. სწორედ ქრისტიანული სიყვარული, როგორც კულტურის ძირითადი ღირებულების, ღმერთმსახურების ხელოვნებაში განხორციელება, შეადგენს ხელოვნების იდეალს, და ამდენად სულიერი სილამაზის ჭეშმარიტ ცნებას. სიყვარული არის ღმერთი, ამიტომაც მისი ღრმა არსი გამოხატული უნდა იყოს

ხელოვნების შესაბამის ფორმაში. ამგვარი ღვთაებრივი სიყვარულის ჭეშმარიტი გამოხატულება არის წმ. მარიამის დედობრივი სიყვარული. იგი არის ისეთი გრძნობა, რომელიც არ მოიცავს თავის თავში რაიმე დაინტერესებულობის გრძნობას, არ არის გარეგანი, არამედ შინაგანია, ჭეშმარიტია. ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება აგრეთვე ქრისტეს მოწაფეებში, მის მეგობრებში ისინი ქრისტეს ქადაგების შედეგად ღრმად დამკვიდრდნენ ქრისტიანობაში.

ქრისტეს იდეის დამკვიდრება ხორციელდება ქრისტეს პირველსახის შესაბამისად, მისი ტანჯვის ისტორიის ადამიანში განმეორებით. რწმენა მოითხოვს შინაგან გადატრიალებას ან გარდაქმნას, რომელიც მდგომარეობს მონანიებაში. ადამინში გარეგანი ბუნების გარდაქმნა ნივთების ბუნებრივი მსვლელობის შეცვლას შეადგენდნენ სასწაულები და ლეგენდები, რომლებიც წარმოიშვებიან რწმენიდან. ადამიანი, რომელიც განშორებულია ღმერთთან, ცხოვრობს ცოდვაში. მას აქვს რთული დანიშნულება, მიაღწიოს შერიგებას თავის სულთან. ამ მიზანს იგი აღწევს თავის თავში სასრულო, ცოდვილი სულის დაძლევით, რაც ვლინდება მისი მიწიერი ვნებების ისტორიის განმეორებით, რომლებიც იქცევიან ნამდვილ სხეულებრივ ტანჯვად, შემდეგ ხდება მონანიება და გარდასახვა. ღვთაებრივის მოვლენა ამ ქვეყნიურ სინამდვილეში განიმარტება იმ აზრით, რომ ბუნებრივი ფორმები და მათი ჩვეულებრივი დინება წყდება, რის შედეგადაც ვლინდება ღვთაებრივი ძლიერება და მისი არსებობა. გამოვლენის ეს ფორმა კი შეადგენს სასწაულს.

ვინ არიან ის ადამიანები ვინც ახორციელებენ ქრისტეს გზას? ანუ ქრისტიანული იდეის დამკვიდრებას? ეს ადამიანები არიან რაინდები ანუ ქრისტიანული სამყაროს გმირები, რომლებიც უმორჩილებენ თავიანთ ნებას ღმერთის ნებას. სწორედ ამ მორჩილებაში მგომარეობს საკუთარი პიროვნების ამაღლება პირადი ღირსებების ზრდა. ქრისტიანული გმირის დამახასიათებელი ნიშანი არის სიმამაცე, მაგრამ იგი ჩვენ არ უნდა გავიგოთ როგორც ბუნებრივი ვაჟკაცობა, რომელიც დაფუძნებულია ფიზიკურ ბრწყინვალებაზე, სხეულის და ნების ძალაზე. რაინდული სიმამაცე გამომდინარეობს სულის შინაგანი განცდიდან და გამოირჩევა ფანტასტიკურობით. იგი ექვემდებარებოდა შინაგან თავგადასვლებს და მისტიკური ღვთისმოსავების იმპულსებს. რაინდს შეუძლიან ამაღლდეს და აამაღლოს თავისი ღირსება უსასრულობამდე. ეს უსასრულობა კი ვლინდება ცალკეული პიროვნების ხელშეუხებლობაში და მის აღიარებაში. რაინდის სიყვარული კი ვლინდება თვითშეწირვაში სხვა სქესის ინდივიდისათვის. სიყვარული განსხვავდება ღირსებისაგან, რომელიც დაფუძნებულია განსჯაზე, გააზრებულობაზე, წარმოიშვება გრძნობისგან. ამიტომაც მას თავისი საფუძველი აქვს შთაგონებულ, ბუნებრივ დამოკიდებულებებში. მაგრამ არსებითი იგი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტი ამ შთაგონებულ ბუნებრივ დამოკიდებულებებში აფრქვევს თავის შიგნაგან არსს. თავდავიწყება, როდესაც შეყვარებული ცხოვრობს არა თავის თავისთვის, არამედ ნახულობს თავის არსებობის აზრს სხვაში, შეადგენს რაინდული სიყვარულის არსს. ამიტომაც რაინდის ერთგულება არის ერთგულება ბატონის მიმართ. ერთგულების წყარო კი არის გადაულახავი მიმზიდველი ძალა, რომელიც ვლინდება განმგებლის პიროვნებაში. ამგვარი ხელოვნების გამოვლენის შესაბამისი ფორმა არის სიმბოლური, როგორც ქრისტიანული შინაარსის გამოხატულება.

ექსპრესიონისტული ხელოვნება კი, როგორც ხელოვნების ნებისმიერი მოვლენა, არის ქრისტიანული ხელოვნების გამოვლენის ერთ –ერთი ფორმა, სახელდობრ მისი გამოვლენის მითოსური ფორმა. ხელოვნების ექსპრესიონისტული გაგება ამოდის მიწიერი ღმერთის, როგორც სამყაროს პირველსაწყისის აღიარებიდან. ამგვარი მსოფლგანცდის შედეგად, ხელოვნება, ექსპრესიონისტების აზრით, არის მიწიერი ღმერთის, სიცოცხლის, როგორც სამყაროს არსის ადეკვატური გამოხატულება. საპირისპიროდ ხელოვნების ქრისტიანული მსოფლგანცდისა ექსპრესიონისტები მიუთითებენ ხელოვნების მითოსურ არსებაზე, რაც ძალზედ ახლოს დგას ძველი ბერძნული ხელოვნების ანტროფომორფულ მსოფლგანცდასთან. ექსპრესიონისტების მიერ მიწიერი ღმერთის აღიარება მათი აზრით, ქრისტეღმერთის გაუფასურებას და მასთან დაკავშირებულ ტრადიციული ღირებულებების: გაუფასურებას ნიშნავს, რის შედეგადაც კაცობრიობა ორიეტირის გარეშე დარჩა. სწორედ ამგვარი უსაყრდენო სამყაროს გამოხატვა, როგორც სამყაროს ჭეშმარიტი არსისა შეადგენს ექსპრესიონისტული ხელოვნების იდეალს. ეს იდეალი არის ახალი ღმერთის, როგორც მითოსური მიზანსწრაფვის, მისი ცხოვრება მოღვაწეობის განხორციელება, როგორც ნების დაუშრეტელი ენერგიის გადმოფრქვევა, რომელსაც თავისი მიმართულება გააჩნია. ექსპრესინისტების აზრით, ხელოვნების სინამდვილე იბადება ნების მხატვრული შემოქმედების შედეგად და არის ადამიანის ყველაზე ღრმა ინტერესების გახსნა, ეპოქის სრულიად ახალი მსოფლგანცდა, რომლის მიღწევის გზა არის ზევიდან ქცევით, როგორც გზა ჭეშმარიტ სინამდვილისაკნ. ეს გზა არის ქრისტიანულ ილუზიათა მოხსნის მტკივნეული განცდა, რომელსაც მივყავართ ციდან მიწისკენ, გზა სიცოცხლის ტანჯვის ჭეშმარიტების გაცნობიერებისა.

უფრო კონკრეტულად, ხელოვნება, ექსპრესიონისტების მიხედვით, არის ნების მხატვრული განხორციელება, რაც გარკვეულ ფორმისა და შინაარსის ერთიანობაში ვლინდება. როგორია ეს შინაარსი? უპირველეს ყოვლისა ხელოვნების შინაარსი, ექსპრესინისტების აზრით, უპირსპირდება ხელოვნების ქრისტიანულ გაგებას. ხელოვნების ქრისტიანული მსოფლგანცდის მიხედვით ხელოვნების იდეალი არის რელიგიური იდეის გრძნობად - კონკრეტული განხორციელება, რომლის შედეგადაც მიიღწევა ღმერთის როგორც ქრისტეს ინდივიდუალური სახე. ექსპრესიონისტების აზრით კი ხელოვნების შინაარსით არის ღვთაების, როგორც მიწიერი ღმერთის განხორციელება, რომელიც მთელი თავისი ბუნების მითოსური არსებისაა. ექსპრესიონისტების აზრით, მიწიერი ღვთაება, როგორც სიცოცხლის გამოვლენა, განსხვისებულია მისი არსებობის ქრისტიანულ სახეში და აღწევს თავის ჭეშმარიტებას მითოსურის წიაღში, ხოლო ხელოვნების ქრისტიანული მსოფლგანცდის მიხედვით, ხელოვნების მითოსური ფორმა არის ქრისტიანულის განსხვისების ერთ-ერთი მომენტი და იგი აღწენვს თავის ჭეშმარიტებას რელიგიურის წიაღში.

სწორედ ექსპრესიონისტების მიერ და ქრისტიანული მსოფლგანცდის მიერ ხელოვნების შინაარსთა გაგების ამგვარი დაპირსპირება განაპირობებენ მათი ფორმითა და განვითარების მიმართულებათა განსხვავებულობას.

ექსპრესიონისტების აზრით, ხელოვნების ექსპრესიონისტული იდეალი გამოავლენს თავის თავს სიცოცხლის თვითგანცდის ფორმაში, რომელიც განპირობებული არის მიწიერი ღმერთის, როგორც ნების ცხოვრება – მოღვაწეობაში ექსპრესიონისტული

ხელოვნების ამგვარი თვითგანცდის ფორმა არის სიმბოლური ფორმა. აქ ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ჰეგელის განვითარების სიმბოლური ფორმა და ექსპრესიონისტული იდეალის სიმბოლური ფორმა. ჰეგელთან ეს ფორმა არის იდეალის გამოხატვის არასრულფასოვანი ფორმა, აბსოლიტური იდეის მდაბალი სულიერობის გამოვლინება ხელოვნებაში. როგორც მისი ბუნების სახით არსებობის მომენტი. ექსპრესიონისტების აზრით, კი ხელოვნების ექსპრესიონისტული იდეალის – სიმბოლური ფორმა არის სამყაროს, როგორც სიცოცხლის ნების გამოხატულების ადეკვატური ფორმა. როგორც მითოსური ფორმა. მაგრამ აქაც ექსპრესიონისტები ერთმანეთისაგან ანსხვავებენ ხელოვნების გამოხატვის დაბალ სიმბოლურ ფორმებს და მაღალს, როგორც სიცოცხლის ნაკლებად ინტენსიური და მეტად ინტენსიურობის გამოხატვის ფორმებს. როგორც ასეთი ექსპრესიონისტული იდეალი, ექსპრესიოინისტების მიხედვით დინამიკაში არსებობს და ამდენად მას თავისი განვითარების მიმართულება გააჩნია, რომელიც მისი თვითგანცდის ისტორიაში, როგორც მიწიერი ღმერთის თავის თავისადმი ლტოლვა, მისივე ინტერესების, მოთხოვნილებების, მისი ცოდნის, თავისუფლების და სილამაზის განცდაში ვლინდება. ასეთი გზა არის მიწიერი ღმერთის გზა, მისი სრულფასოვნებისაკენ სწრაფვის პროცესი, რომელიც ჰპოვებს თავის თავს ტანჯული სიცოცლის, როგორც ექსტატიკური განცდის სახეში. ამ პროცესში ხდება მისი არსებობის ყველა ზედაპირული ფორმების დაძლევა, სახელდობრ, სოციალურის, ეთიკურის, რელიგიურის ქრისტიანული გაგების მსხვრევა. მხოლოდ ასეთი ცნობიერების ძირეული დამსხვრევის შედეგად, ექსპრესიონისტების აზრით, შეაბიჯებს მიწიერი ღვთაება თავის დედისეულ მითოსურ წიაღში და მხოლოდ ამგვარი კუთხიდან განჭვრეტს მთელ სამყაროს. ეს პროცესი ევლინბათ მათ, როგორც მხატვრული ნებელობის ბედისწერის თვითგანცდა, რომელიც ხორციელდება სიცოცხლის დაბადების, ზრდის, სიკვდილის მუდმივი განახლების პროცესში. ხელოვნების ქრისტიანული გაგების მიხედვით კი, როგორც უკვე ვთქვით, იდეალი ავლენს თავის ქრისტიანულ ბუნებას მის გრძნობად – კონკრეტულობის სახეში, როგორც ქრისტიანულ ხელოვნებაში. ამიტომაც, ღვთაებრივის, როგორც ქრისტიანული იდეალის განვითარების პროცესში მოქმედებენ ლოგიკის ისეთი კანონები, რომლებიც წვდებიან ქრისტე – ღმერთის ცხოვრება მოღვაწეობას. ექსპრესინისტული ხელოვნების იდეალის განვითარებისას კი ცხადია ვაკვირდებით და ვწვდებით მიწიერი ღმერთის, როგორც მითოსური ღმერთის კანონზომიერებებს.